მზე უკვე კარგა ხანია ამოიწვერა... ჯარში მიმავალ ახალგაზრდობას აცილებენ თაგისიანები... მზიარული ცეცვა გამეზაგრების წინ... მეფანდურე ლევანა მარდად ათამაშებს, თითებს, სიმეზზე და სახელდახელოდ გამოთქმულ შირებს ამღერებს: — დაუქარ ჩემო ფანდურო, დივლი-დალალო; ზოგიერთს ვაეკრათ კლანჭები, შენ გენაცვალეო... გაისმა ტაში, ორი, ქოჩორ წინ გადმოყრილი ახალგაზრდა მარდად უსვამს ფეხებს... ლევანა განაგრძობს: — ძმებო, შემოკვარებეთ, სუყველა, წავიდეთ წითელ ჯარშია; შეურცხვეს იმას ნამუსი, ვინც დაიმალოს სახლშია... — მშვიდობით შეილო, გენაცვალოს დედაი. აბა, ვინძლო არ შემარცხენო და პირნათლად შეასრულო სამსახური. ხომ ხედავ ლუკანთ ბიჭი, ვანაი, აფიცერიც გამხდარა... არიგებს დედა შვილს და ულოცავს გზას, — დედავ, მოგივლდე, თუ არ გასახელო! ეუბნება შვილი, მტკიცე რწმენით, და უკანასკნელი კონიით ემშვიდობება. — გოგოვ, ვიდრე მე დაებარუნდე, არ გამცვალა სხვაშია; თავი არ დამარჩობინო ადღლეულ ზღვაშია... გინაგრძობს ლევანა. გაისმის სიცილი. გინათხოვარი გოგონები თავშლის ბოლოს იფარავენ პირზე, გახარებულნი, და ერთმანეთს ეხერდებიან უთქვეფენ ლოყა-აწითლებულნი: — ქაა, გოგო, ნატო, შენზე ამბობს... — ია, თვალმც შენ დაგიდგება, ჩემზე კი არა, შენზე ამბობს... ლევანა კი განაგრძობს

— თავადებს ვუკირეთ სახრე, და ვაქრებს პანდურიო; ჯველა მშრომელ ხალხის მტერსა აფუწიეთ ყურიო... — არ დამივიწყო... თვალზე ცრემლმომდგარი თინა ემუდარება კოტეს, შორიდან, უხმოდ... — საყვარელო, მხოლოდ შენ, შენ მიყვარხარ... უპასუხებს ისიც სიჩუმით, უხმოდ, თვალების დაბანებით... — მღვდელს აღარ მივეციოთ დრამა, და დიაცანს ტაბლო; ფოფოლია, შიმშილისგან, იყურება დაბლაო... არ ისვენებს ლევანა. ხელი-ხელ გადახვეულნი დაეშენენ თავქვე... ისმის ტრიაშული, საგმირო სიმღერა... ვიდრე კოტე ორღობეს არ მოეფარა, თინა არ გამობრუნდა; მარანს ამოფარებული დიდხანს უჩნედა ცხვირსახოცს... ფანდურის ხმა შორს მისწყდა, და მხოლოდ სიმღერა ისმოდა, ოდნავ გასაგონად: — ბიჭებო, ურჩი შეტვივთ, გავიდეთ ბრძოლის ველზედ; და შემოველოთ, საყვარელ თავისუფლებას ყელზედა!

მ. აოლუშოკაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი

ყველა ფიქრები შენის ტრფობით გადაოვილაგე, როს გამახსრნიდი საქართველოვ, ძველი ხმ-ლივით... ვისმენდი შენზედ ბავშობაში მრავალ არაკებს და მაშფოოდებდა ბედი უნდო, ნამუხათალევი...

მწარ სიცოცხლეზე იარაღით იყავ ვაკრული, ყურძნის ვახვიით ჩამოგწურა ოც საუკუნე, განძად გამოგუყვა სიყვარული, ჩნება ზოპარული და ძველი რწმენა დღეს ხარვიით დააგუგუნე...

შენს სიცოცხლიდან გადმოიჭრა კაკო ყაჩაღი, ამოვსებული ხალხის სევდით, ხალხის ვარამით, ტახტულ გლეხების სულში ცეცხლი რომ გაჩაღდა მრავალი წლების სიძულვილით დაუფარავი...

შეშფოთებული აღდგენა გმირი არსენა მოძმის სიყვარულს ჩოხის კალთით, რომ ატარებდა; — ო, არ შეეძლო ჩაგრულებში ისე დარჩენა, როს სიძულვილი ბატონების სულს უმწარებდა...

გადაჰკრა ხმალი უსამართლოთ დღეებს დაცვენის და გაეფიცა მწარ ცხოვრებას, ნაყიდს ოქროთი; — თავისუფლები სიყვარულით გამოჩაწვალის მის მოლოდინში გულნაკლული ტყეში გაქროლდა...

თვით უსამართლო, დამრისხანე შენც კი იყავი თუშეა უღვეველ მარგალიტებს სხეები ელოდა; — დროით შთაინთქა ძველი ჭკუნევა გასარიყავი და საქართველო დღესაც მაინც საქართველო ხარ...

მტკვარმა ისწავლა სხვა სიმღერა, სხვა აკენესება ზაჭისის მკერდზე ოქტომბერით ჩამოწერილი, მშრომელმა სიტყვით გაანათა ბნელი ქვეყანა დაჰგმო წარსული ფოთლებივით ჩამოცვენლი...

გადავიბრინა ამაყ შუბლზედ ახალ გმირებში ელვის ნაპერწკლით განათებულ გრძელ ხეივნებში, შემოგვეცალა ხარტყლივით ეს ვაჭროება და ხალხთა შორის თანასწორი მუდამ იქნება...

ს. ზომბათელი.

პასუხი დედას

შენი წერილი რომ გადვიტობთ, დედი, დედიკო, შენ გინაცვალთ თვალეზში მწვევე ვიგრძენი სიხებ და სახელოთი ამოვიმშრალე.

ნუ თუ მუტია მარალა ვაცოფდა? მას შემოეგვლოს ძალღებნი ყველა... ზამთარში აქაც სასტიკათ თოვდა, მაგრამ პა, მარტოც წამოგვეშველა.. ირგვლივ მშვიერი დაძრწოდენ მგლები... ახ, ეს ზამთარი კვლავ გამახსენდა.. ავტოსადგურის მუშათ ვითვლება, ჩემი საქმეა მანქანის წყენდა.

სხვაფორვ კარგათ ვარ, ვსწავლობ მუშაქვაში და მეზარბეგა ცოდნა, ყოველი, ექსკურსიაზე ვიყუე მცხეთაში, ზაპესთან, ვნახე სვეტიცხოველი! დილით დადიდვარ სახელოსნოში, თვეში მეძლევა ოცი მანეთი, ეგ სასმელ საქმელად მყოფნის ამ დროში, სწავლა მაქვს მუქთი, ბინაც ამათი.

გვაქვს ლიტწერი, პოლიტანბანწერი, დრამწერი, გვინდა, რომ გავხსნათ კინოსტუდია; ლიტსანსმართლოს ბევრის ვარ დანსწრე, თეატრს რომ ვსცდები, ეს კი ცუდია. მაგრამ ყველგან ხომ არ შეიძლება. მაგვივარ, ხშირათ შევდივარ კლუბში... დილა-სადამოს ჩაი მეძლევა და აბაზს ვიხდი სადილათ სუპში.. ოქტომბრის დღეს მე დროში მიქონდა და ლენინის დღეს—ქრელი პლაკატი.. თებერვლის ჟუმეც აქ მომაკონდა: ეტლში ვიჯექი „წითელის კანტით“, თავს თოუვიანი გუშანი მადღენ, ისეც და ჩემი ამხანაგები.

ჩვენ ასე—იცი?—ბურჯუებს ვარცხენთ, ძირს ქვეყნის ყველა ავახაკებია.. მე ვხვდომდებენლობ ნორჩ პიონერებს, თვით ახალგაზრდა ვარ ლენინელი, ქუჩებში ვმღერით ლაშქრულ სიმღერებს, ვართ „მუღამ მზათ“ და მუღამ ფხიზელი შო, მომაკონდა! აქ ამ დღებში მთელი კავშირის გვეწვია ცაქი, ვსკვრეტდი კალინინს სათვალეებში, ხშირად უწევდა მას ლაპარაკი.

რიკოს კაკალ წინ გამოვიქვიმე და გამოიცინა—იცი?—რიკოვმა! მოგვიართა სიტყვით და მოციმციმე თვალცი მოგვიკარო, ვით ტოლსა-ტოლმა, მე ფიხკულტწრემიც ვითვლები წვერად, გვართობს და ტანიც ბრძქედში ტაოდება, აღინდღეს ახლა მე ვჯობნი ბევრად, რომ გნაზო, დედი, ვავიხარდებამ!

როცა მუშაქვაში სწავლას მოგრჩები, მსურს, გავიარო შემდეგ გოსუნტო, ამ უახლოეს იმედით ვრჩები, ბევრ სხვა შორეულ აზრით თრსულსია.

მოკლავდა მამასი ნარტუღ ნახვისა... ამ სასწავლოთ თუ ჩამოვდი, მომიწევს მამან ნახვა სახლსა და შენი ნახვეც, დედიკო, დედი..

3. ბ — ლი.

მზარბაზრი გ. შარბაზჩიანი

გიგო შარბაზჩიანი შეიღია თბილისის მოქალაქის ოჯახის.

თბილისში გინახვის დამთავრების შემდეგ იგი გამგზავრა სწავლის გასაგრძელებლად ს. ჯორჯიას ქ. მიწველებში, სადაც შევიდა



გ. შარბაზჩიანი.

შემიწვლად აგრონომიულ ინსტიტუტში. კურსი დამთავრა 1905 წელს და ამავე წელს დაბრუნდა თბილისს.

გიგოს პატარაობიდანვე უყვარდა ბარვა და ამ სავანში საქმიანი ნაკუჭი ჰქონდა. მან გადასწყვიტა ამ ხელოვნების შესწავლა. ამისათვის გიგო ხელმძღვრე გაემგზავრა საფრანგეთში და პარიზის სამხატვრო აკადემიაში შევიდა ხატვის შესასწავლად, რომელიც წარმატებით დამთავრა 1910 წელს. მონაწილეობა მიიღო პარიზის სხვადასხვა გამოფენებზე და ამავე წელს დაბრუნდა თბილისში, სადაც საკუთარ სახელოსნოში დაიწყო მუშაობა.

გ. შარბაზჩიანი თბილისის ფართე საზოგადოებამ გაიცნო, როგორც მხატვარი 1913 წელს, როდესაც მან სამი წლის მუშაობის შემდეგ გამართა თავისი ხუროთების პირველი გამოფენა, გამოფენა 114 სურათი. ამ ნაშრომებით ახალგაზრდა მხატვარმა ერთბაშით მიიქცია საზოგადოების ტრეკის ყურადღება. გამოფენილი სურათები თითქმის მთლად გაიყიდა 1913 წელს კვლავ დაბრუნდა პარიზში, სადაც მოაწყო საკუთარი ატელიე. მაგრამ აქ დაპყო მხოლოდ 1916 წლამდე. ამ წელს მსოფლიო ომი დაიწყო და გიგოც იძულებული იყო დაბრუნებულიყო სამშობლოში. მხატვარმა კვლავ განაახლა მუშაობა და 1916 წელს მან სხვა სომეხ მხატვართა დახმარებით თბილისში დაარსა სომეხ მხატვართა საზოგადოება.

1924 წელს მანვე დაარსა სამხატვრო სტუდია სომეხ ხელოვნათა ხსნითან „პიატრუნი“-თან. ამ სტუდიის დაარსება დიდი კულტურული საქმეა,


რადგანაც იქ სწავლობს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, უმოთავრესად მუშა მოსამსახურეთა წრიდან, რომელთაც წინათ უსახსრობის გამო ამისი საშუალება არა ჰქონდათ.

ამ სტუდიას თითო გიგო განაგებს, ამას გირდა ასწავლის ხატვის ქართულ პოლიტენიკუმში და სომხურ მუშაქვაში.

გ. შარბაზჩიანს რამოდენიმეჯერ მოუღია მონაწილეობა თბილისში გამართულ გამოფენებზე. აგრეთვე თითონვე მოუწვია სხვადასხვა ქალაქებშიც საკუთარი სურათების გამოფენა. საზღვარგარეთ გამოფენებზე სტამბოლსა და ვენეციის მისმა დიდმა ტილოებმა საზოგადოების საერთო ყურადღება მიიქცია. 1924 წელს ვენეციის გამოფენეზე მისმა დიდმა სურათმა „საიათნოვა, მომღერალი ქართველ ქალებთან“, საერთო აღტკება გამოიწვია. მხატვრის შემოქმედების ერთ ერთ უმოთავრეს საყვ. რულ თემას შეადგენს „ძველი თბილისის“ ცხოვრების გიღმოკემა მთელი თავისი წერილობითი და თავისებური ეგზოტიკობით. ამ მხრივ საყურადღებოა მისი სურათები: „ქუჩა ძველ თბილისში“, „ყვენობა“, „ახსნი დამის თვის დროს“, „ძველი თბილისი“, „ძველ თბილისში“, „ძველ თბილისის ბაღში“, „საიათნოვა“, „ქართველი ქალი დიარით“, „საიათნოვა ქართველ ქალებთან მომღერალი“ და ერთ მთლიან ტილოზე დახატული სამი სურათით საიათნოვას ცხოვრე ბიდან და მრავალი სხვა.


შარბაზჩიანსეც ეკუთვნის გრაფიკული და სურათება პოეტის ოე. თუმანიანის პოემისა „ინუმი“ და „ფარავანა“-სი.

ილსანიშნავია, რომ გ. შარბაზჩიანმა პირველმა მიაქცია ყურადღება ხალხიდან გამოსულ ნიჭიერ მხატვარს განო ზოგადეგვოს და ამ უცნობი ნიჭ ერთ მხატვრის ნახატები 1917 წელს პირველად გააცნო ფართო საზოგადოებას. გიგოსეც აქვს ამ მხატვრის ნაწარმოების დიდი კოლექცია, რომლის დასურათებულ მონოგრაფიის გამოცემის აპირებს მოკლე დროში. გ. შარბაზჩიანი ამ ყმად ერთ თვალსაჩინო ფეგულრა სომეხ მხატვართა შორის. იგი დიდი ნერვით და ეროვნულებით ემსახურება საყვარულ ხელოვნებას.



ძალი დარჩიმი.

ოჯახისთვის წყობა



მშობლის მახე



მომართვა:

აი, მახე!
შენც მივჩაზე
თუა, ნახე,
მეტი ხაზე!..

შარაღა

ქალის სახელი მონახეთ, ვიმანათლებლათ ხმობილი...
ის ვახის უფართ ვიდილა... ერთ დროს წმინდანათ ცნობილი...

ვასტერით შეაზე ეს სიტყვა—ჩვენ ორი წინა გვეპირია...
(და დანარჩენის მოგლეჯა არ არის გასაქირია).

კრებულს იპოვით ოჯახში—გურულ-იმერულ სტენებით...
ჭელი წიგნია, ქართული სხვადასხვა გვარი სტენებით...

წინ ერთი კბილი მოგლიჯეთ და გაისროლეთ გარეთა...
და დანარჩენი შარაღას მიადგით... მოახმარეთა.

შარაღა უკვე მზათ არის... მწერლის გამოვა სახელი,
სიმართლის მოყვარულია და ბოროტების გამმხელი.

არაფის დანდობს თუ ვისმეს შენიშნა რამეფერადა
მან იუმორი ახალი შექმნა და გააფერადა.

მისი მახელი კალამი, თვით ხელზე უფრო მჭრელია...
მტერში მოყვარეს იპოვებს და ხანაც მოყვარის შიშის შვერელია...

კვლავ განაახლა ყორნალი მკითხველთა გასახარადა
გუსურვებ მის ნიჭს იუმორს

მხრეობას წინსვლას მარადა
შეც ნიშნად კმაყოფილების მიუძღვენ აგი შარაღა.

ვალაია.

შოროტი ირისხვის და
თქმას სიმართლეს აქვს საჩივლი.
აგეზარბარე, გენაცვია,
ეს არის ჩვენი სიკეთე,
უხვად საკბილოს მოგართმევთ:
მუგუზალს ჩვენც შევიკეთებთ. *)
„გამოახტუნე“ ყურნალი,
მას აგი არ ემალვების...
„კუქის კატარის“ მკურნალი **)
მტერს დაუყენე თვალები.

ათანახე.

მოსხინება

ერთხელ ბესო აკეთებდა
მოსხინებას ერთ კრებაზე,
სიტყვა იყო მომხსენებლის
„მითვისება გაფლანგვაზე“...
„იმხანაგებო და ძმებო!“
იძახოდა ჩვენი ბესო:
„ამბობენ, რომ აქ-იქა
ფულები სულ გაფლანგესო...“

„უნდა იმას უკრადლოება
და სასტიკი უნდა იმი,
თორემ ჩვენ აღარ შევკრებთ
სამოსი და გასაძლოებ“

*) მუგუზალის შეკეთებისთვის
ჩვენ რომ გაფლოთ ფულები,
გაპ, თუ შენ ველზე დაგადგეს
შემწვარი, მოხრავლები...
თუ გინდა მუქთად დაგებდავით
და შენც რე დაგვამალები...

***) სიცილი კუქის კატარის მკურნალს.

მანგი.

სოციალი

შარაღა შენმა „ბრძანებამ“
შეც ერთობ განუფლასია,
შარაღა შენთან თანამშრომლობა
(ჯიფრი არა მიქვს ფულსა).
შეც გამორიე იმითში,
ცინც მხარს გაძლედა ერთხვად

და სიტყვას გაძლევა პირშია
არ დამორჩეს გაუქირადვად.
შენ უერთგულე შენ სიტყვას,
მართალ მყავ, რომაც გეპირდები...
აქედან შეც მხარს დაგეჭურ
და აღარ გავნაპირდები.
მიყვარს სიცილი სხვებთან,
ხარხარათ შემოფარჩული;

ბ-ბ

დასჯოს უნდა მკაცრად
ჩველა ფულის გამფლანგველი,
არავის იღიარებდეს შერჩეს
ახალი და თუნდაც ძველი!..

მომხსენებთ კარგი იყო
და გაგრძელდა წამი ოცი,
ბელომ ოფლი მორჩინდა,
დაასველა ცხვირსახოცი...

„შეკითხვები თუ გაქვს ვინმეს?“
და... და თავმჯდომარემ...
სუტ... თითო აიწვია
მოხუც გლეხმა, იქ მჯდომარემ

მინდა ერთი შევეკითხო
პატივცემულ მომხსენებელს,
რით უიღუბლეს ხოვებოთ
ხალხებს და ძვირფას მუცელს*?

გაფლანგვა რომ ცუდი არის,
ვე კი არის დასაჯარი,
მაგრამ მომხსენებელიც რომ
თვითონვე დასაჯარი!

გვითხრას თავის სინდისს ქვეშ,
და ისე კი ნუ მიბანდავს,
სად შოულობს იმდენ ფულს,
დღე და ღამე რომ სულ ფანტავს?!

რაც მავას ჯამაგირი აქვს,
ის მავ ხარჯებს ველარ ასწევს,
აბა, როგორ უთავებდა?
თუ არ ფლანგავს, მაშ ვინ იძლევა?!

ხიტყვა ვერც კი დათავია,
თავმჯდომარემ დაკრა ხარკი;
„შეი საგანს ვადუხვიე,
მე შეკითხვა როლი არი!“

— მე შენ პასუხს ვაგებინებ!“
დაიყვირა ორატორმა,
და იმის ხმას ბანი მისცა
დაბლა ტყემ და მაილა გორამ.

პ. ოზოლი.

მილიციის უპროსის ღიღინი

სკვე სიტყა მიმიცია,
რომ მოეპოვო მილიცია:
წელზე — „პლაშნი და „ნაგანი“,



„წიგნის ბოხია“ და „გარანი“,
„ბაკლაშკა“ ს თუ მივემართებ,
ხაქმეს დიდთ შევიმართებ;
მცველს თუ გული გაფუჭალდეს,
ციხს წყალს მალი მალი სვამდეს...
თუნდ ქაფენილს თავიც უტყუას,
ხუტს მოვადგამ მძიმე ჯურჯანს,
ზედ ოქმების დასაწერად
„ქანტორკისაც“ შევსდგამ ცერად...
მოიგრობოს თუნდაც წელიწადი,
„ვინტოვკისაც“ მივსვამ ხელში,
და სარტულზეც, ცხონდეს მამა,
„ფიჩიკისაც“ ჩამოვბამ...
ქუტის აქვს კოხორკიან ღვეთი
რომ შევება ფოსტ-ს მტრედნი!
ფხს და ფხს შეა სწანდეს მტრულად
უნდა ზარბაზნის ღელა!
იღლიამზრად ხელის ნაღმებს
გადავცილებ, ხმების გამლეს!
შეფურნ ისეთ წინისაფარს,
ვერ უხრიდეს ქარი ფ ფ რ ს!
მილიციის წიგნში რომ ვერ მოჩვენებ,
ხელში მივეცემ ვაშლულ ქოლგას!
გავეუქმებ ცხვირზე ქოვრიტს, 2)
თუნდ აკლოს ქუჩაც ოხერიით...
პურის საცობს და საწონავს
ზედ ჯიბეთიან მოყავანვეს..
და ქუჩებში რვა რვა საათს
გავარინდებ ჩემს ჯბაათს..

ქავკარტა.

1) მძებარი ძაღლი, დავუვილი დანაშაულია მი
ტბანა.
2) დერბინდა.

ბოლია ფათუჩიკას სიგლავა

(ნიმუზიანი ნათვისი)

ო, მოდი ჩემთან, თმა ცივლივა, კობა გოგონა
მცირეს მომეკარი, ჩავძირი შენი სიყვარულში,
ჩემს სულში იწვიეს, შენი ტრუობის ქიაკოკონი,
რად სწავლობ კარგო გაცეთილებს რუსულ-ქართულში.

მე მომბარეს, შენი თავი შენა მშობლებმა
რათა აღზარდო, რომ გამოდგე ქალი სწავლული.
თავს შემოგავლებ, გრემიე გრძობას, წმი ნდა ემბლემათ
მოდი ვიდრე ხარ პაწაწინა ნახი ქალწული.

სულაც არ დავდე, მასწავლებლის მოვალეობას
გიე არა ვარ, ლამაზ შეგიარდს, რომ ვუთხრა ვარი.
ერთად ასწორებს, მრუდს და მართალს, საწუთროვება
აქ ვინ დაბრუნდა ვინც შეალო სამარის კარი.

ძველი ხომ ყველა მებატივა, ახალს დავიწყებ
გიჟონიებო! მე მიტაცებს თქვენი თარეზი.
თქვენს, მარწყვის ტუჩებს, ხაინატრად ჩემს ტუჩს შევაწყობ,
ვიწი რა კარგია ნავარდობა, განცდის მხარეში.

— და შენც, სონიაე! ობლად შეთენილს, დღეს როგორ მინდა,
მკერდთა ვაშლებზე, ვებდა აშლით, ხელის ფათური,
მაგრამ ვითა როცა აქ არ მყავიარ, ჩვენ არ აგვეცდოდა
მტერთა თვალები, შურით სავსე მუბანათური.

ვაბ, მე რას ვბოდავ, ეს ვინ არის, რომ შევლანდებამ
ნუ თუ ნიანგა მართლა ამცენეს ჩემი ამბავი,
აწ ხად წავეიდე, ვით დავფარო ჩემი ბრალდება,
ვის შევადარო განწირულმა, საბრალო თავი.

ჩახუნდაჩიძე.

მომხანავა გლეხების პრავაზე

კრებას გახსნილად ვაცხადებ. სიტყვა ექვ-
თენის პატივსაცემ პიროვნებას, ა-ი-ი... ამხა-
ნავას...

— ლაცოვად, თქვენი სახელი?
— სიმონ!

— სიმონ... კინალამ დამევიწყდა თქვენი
სახელი.— ასე დიწყო კრების თავმჯდომარემ
და სიტყვა მისცა სიმონს, რომელიც ქალაქი-
დან ჩასულიყო სოფელში და დავალება ჰქონ-
და გლეხებისათვის გაეცნო კოოპერატივის
მუშაობა.

— მე, ამხანაგებო! დიწყო მომხსენებელმა
გაგაცნობთ თქვენ ზოგადათ და უბრალოდ,
მარტივ და დეტალურ, კონკრეტული, ჩამო-
ყალიბებულ და გარკვეულ მოკლე სიტყვით,
თუ რა არის კოოპერაცია საზოგადოთ და
კოოპერატივი საერთოთ.

კოოპერატივი არის, მაგრამ ნება მიბოძეთ,
მეზობლებო და თანაგზავრო ამა სოფლისა,
სანამ კოოპერატივს შევხებოდე, ჩემი კრიკე-
ტერიუმი, იდეა, კონსოპოციონიზმი ევოლუცი-
ციონურ დოქტრინის მიერ ვაპრობის სიგარ-
ტე-სიგანეზე, ან საერთო მდგომარეობის მო-
ხაზულობას შევხებო უბრალო და თქვენთვის
გასაგებ ვინით.

მე, მართალია, დღეს თქვენთან მოვედი,
როგორც მოწინავე კაცი, და შინდა გაგაცნობთ,
თუ რა პესსპექტივებს და მიზნებს ისახავს ნე-
პი, ანუ ნეპოალური კოოპერატივი.

მინდა, თქვენს წინაშე ვადმოვალავო ყველა
ის, რასაც თქვენ ვერ ხედავთ.

— ამხანაგო გლეხებო! მოითმინეთ, გარეთ
ნუ გადიხართ, მომხსენებელს ჯერ არ ვაუთა-
ვებია!—გაჯერებით დაიყვირა თავმჯდომარემ,
განავრძით, ამხანაგო!—მიმართა მომხსენებელს.

— იმას მოგახსენებდით, კოოპერაცია არის
სივარე, საიდანაც გააქვთ სიკონელი, კოოპე-
რატივი-კი ის, სადაც აწყობენ სიკონელს, ი. ი.
ორივე ვისახურება ვაპრობის.

— ყოველი გლეხი მოვალეა ივაპროს და
იყიდოს, რაც მას სჭირდება, ესა თუ ის, ანდა,
უკეთ რომ ვთქვათ, ვინაიდან, ან რადგან გლე-
ხები დღეს ჩამორჩენილები არიან სწავლა-ვა-
ნათლებას, სიხ-სამკითხველოებს, რევილიუ-
ციონური ცეცხლის ანთებულ კერას:


— ამხანაგო მომხსენებელო, ხომ ხედავთ
კრება ყველამ დასტოვა, გთხოვთ დანარჩენი
ხელისათვის ვადასდოთ, შეაჩერა თავმჯდომე-
რემ მომხსენებელი სიმონი.

— მე უკვე ვავათავი, ამხანაგო თავმჯდო-
მარე! უპასუხა მომხსენებელმა.

კრების თავმჯდომარე დიდი ნასიამოვნებო
დარჩა სიმონის მოხსენებით და გლეხების „სა-
ხელით“ მადლობა გამოუცხადა მას.

შემდეგ ნიშნათ სტუმართ-მასპინძლური პა-
ტივისცემისა, დაპატივა შავ ღვინოზე სისა-
დილოში.

ბალანა.



ფულიდის ლული

იყო ფულიდი ფულით
ბოკოთ, ბოთლით და „პიფით“...
მე, მეცინება გულით,
გულიც სცემს სათიფით.
ზაფხულის სიცხეს ლული
ისე უხდებო, რომა...
ახ, შევიწროვა ქული,
მსურს მისგან გამოძრობა.
და რა ვქნა, თუ არ შევრება?
შუბლზე ჩამომდის ოფლი...
ნეტავ, რა ელირება
აქ ლული, ერთი ბოთლი?
სამ აბაზი, სამი...
სიანს, ვაჭარს უყვარს ფული,
რა ვქნა? მეც არ ვარ ხამი:
ხარბია ვაჭარის გული!
—ჰეი, სიხარბე წავწყენდს!
ჩარჩო, უკელი მადას!...
ლული ხასიათს ჩამწყენდს
და სჯობს ის ამ დროს ქიდას...
ქიდა კარგია მარა,
ლულიც არ არის ცული,
ერთს დაღვე, ეს არ კვარა,
თუ კვლავ არ მიუბრუნდი.
ჭიქობს ფულიდი ფულით:
„ბურთ-მოედანი დამოჩა!“
მე მეცინება გულით,
ეს რა იფიქრა ჩარჩმა?!
და უცბათ... ჰოი, გზაზე
გამოჩნდა „გოსეინტრესტი“,
და ჩარჩ, მყოფს კარგ მადანე,
კულზე მიაკრა თესტი.
მუშკობიე მხარს უქერდა...
„გოსეინტრესტს“, როგორც თვისას,
ფულიდს კი ჩაუმტერდა
და მტვრით უფხებდა ქისას
„კრახნი სტალიაო“...ს სტუმრებს,
თუ მდგმურთ ასმევედენ „დაჩის“.

ჩარჩს რა ეგონა, აბა,
თუ დღე დგებოდა ცული
თვლები დაენაბა
და გასდოდა ლული...
იღინა გრძელი დენით
და ბოლოს... ბოლოს, როცა
ჯიბეთა ამოტენის
იმიე წარეხოცა,
დასდვა ქვეშ ლულით ბოთლი,
ზედ კასრი ჩამოავა,
ჩამოწურა ოფლი,
ჰქნა საქმე საარაკო:
კასრზე მან შესდგა ყული,
ყულიზე—ორიოდ ბოქკა...
ჯერ შეისვენა წული,
როცა იმ საქმეს მორჩა...
შემდეგ, მაგიდაც შესდგა
საანგარბში ჩოთქით,
ზედ—სკამი, სკამზეც შეცდა,
რა რომ ავიდა ცოცვიო.
და ჰფიქრობს ტახტზე მჯდომი:
„აქ დავიზამთრებ ასე,
წელს თუ წაივადე ომი,
ამ ვაისს საქმეს ავსწევ!“
და ვაი, უცბათ მართლაც
სწევინ... ირხევა სკამი...
ქვეშიდან „თიფის“ დასლაც:
ერთი, ორი, თუ სამა?!
გადაყირავდა ტახტი,
ინგრევა, ასხამს ოფლი...
—„არქია, ვინემ დახვდი!“
ხედავს, ბოთლს მისდევს ბოთლი,
ძვრება ქვეშიდან, მდის...
მიდიან საით, ნეტა?!
ქონება, სიანს, ფულიდის
ვარბის თვით „ოსეანტრესტან“!
რა ვქნათ, თუ განიბრობდა
მას გზა მკაცრი და მრული?
ფულიდს ერკობი მტრობდა
და „გოსეანტრესტის“ ლული...
ინინამე.

ჩვენს პროზოზორს

(სუფსისათვის)

მოდით ეშმაკის მახეო
და აფთიაკი ნახეო,
შიგ აფრასიონ დაგზავდება
ცოტათი კბილი ახეო.
ეს კაცი ძლიერ ცუდია
გლებების საძულელია,
ზნოლოდ ამფსონთვის ნარდისთვის
ძალიან საყვარელია.
მთელი დღე აივანზედა
არის კამათლის გორება,
ხელ-წაგებული ბიჭების
„გამქედის“ დგლის გინება.
ხან ლოთობს, ხან ვის ეშლება
ხან ქალებს ეალერსება,
და აფთიაკში დარაჯსა
სიმშლით ფეხი ეშლება.
თუ შეხვალ შიგ ქინისათვის
ძალიან ძვირათ დაგზავდება,
თუ შეგხვდა ისიც მთვრალია
მას კაცი ვერას გახდება.
მოდით და ნახეთ თუ ნახო
ცოტათი კბილი ახეო
განა ამგვარი კაცისთვის
არა გაქვს ბასრი მახეო?..

გლებების ბიჭი მაილა.

სოფლის ნურგლის გოდება

ვართან გაიგე ძმობილო?
პირი შეუთქვამთ გლებებსა,
ჩვენზე არაფერს ჰყიდიან
გვყარიან თავზე მეტებსა.

შეხედე? ბოლო მოედო
ამ ჩვენ ოსტატურ ხერხებსა,
სოფელში ვერ გამოვიღია
ქვევით მამტრევენ ფეხებსა.

როგორ ვიცხოვრო, ვართანჯან?
ვახ ჩემი ცოდვის ბრალია
ვზივარ სახლში და მუქთად ვჭამ,
ირგვლივ დამედლო ვალა.

უწინ გლებს თვალებს ვუფსებდი,
მდიდრად ვცხოვრობდი ამითა,
დღეს ახლოს არეინ შეკარებს
გული ამეგსო შხაშითა.

კუჭი გამიხმა, დავსუსტდი
ცუდი საჭმელის ჭამითა,



ზარკვის არიხ

(ოპერა „დაისიდან“)

ოპერა არის
კარგი „დაისი“,
ოდეს ხმა ზარის
მკვეთრად გაისმის..

თუმც მესამეა
ეს მოქმედება,
რა სიამეა
გულს რომ ეღებება!.. (იფს..)

ბებრუცუნები,
ბებრუხანები,
დასაწუნებიც
რომლისთანები

ჩვენს ოპერაში
დღეს არ არიან,

რადგან, მღერაში
როს ხმებს ზარისანს
ისმენენ, მორთვენ
ჩოქებით ცოცვას,
ჩუმიდ აღმოსტქვენ
მღელარე ლოცვას,
თვალწინ ესახვით
კათალიკოსო
და არ ეძრაზვით
ამ ნეტარ დროსი
გამოყენება
სულის ცხოვნება!
ხატის ჩვენება..
ზედ მიკონებიც!..

ოპერა არის
კარგი „დაისი!“
ოი, იხარის,
დამწერი მისი!..

—ხა!..

ლამის კლდესა დავეჯახო
ჩემი სულელი თავითა.

გზა ვერ ვიპოვნე, რაეფყო
თავი ვიჩინო რაბითა,
თავს დამხვევია ფეკრები
ღარ მიძინებს ღამითა.

მუცლი წალზე მიმეკრა
ზორცი შემახმა ძვალზედა,
ვმარბულობ ძველი ვაჭარი
ნაჩვევი სუკის მწვადზედა.

მიყვარდა ღვინო კახური,
მწვანელი, თარათის ღოშია,

დღეს კი ჯიბეში არა მაქვს
პურის საყიდლად გროშია.

დამპალ ფართალსა სოფელში
ჩვენ ვასაღებდით გლებებზე,
სხვისი ჭირი და ვარამი
მუდამ მეკიდა ფეხებზე.

დღეს რაღად მინდა სიცოცხლე
გავხდავარ ნაცარ ქექია,
საკუჭნაოში საჭმელად
იღარ მაქვს პურის ქერქია.

გ. ხალუქვაძე.

პოეზია

(ფარსი ერთ მოქმედებათ, ანუ ფუტურის-ტების სეზონის გახსნის ზღაპრული ანგარიში).

სცენა წარმოადგენს კონსერვატორიის დარბაზს.

თავმჯდომარე.—კრებმა მე ვხსნი... გთხოვთ!.. მოითმინეთ!.. ჩვენ შევირჩინეთ მარტო სახელი „ფურცლიანი“! ეს სახელი ქართულად კარგად გამოდის, იტალიურად, რა ჩვენი საქმეა, რას ნიშნავს? ჩვენი ამხანაგები გენიალურად სწერენ.. სწერენ და სწერენ...

ხმა ხაღხიდან.—მერე, რა გამოდის ამ წერიდან?!

თავმჯდომარე.—ხელს ნუ მიშლით, თორემ დაძვინდება აზრები. მართალია, ყველა არ ვწერო, მაგრამ ეს სულ ერთია. ეხლა სიტყვას ვაძლევ ნივთად ჩაჩხავს.

ჩაჩხავა.—ეხლა მე ვლაპარაკობ. (ქოჩორზე გადისვინ ხელს). ამსტრაქტიული მატერიალიზაცია მოდერნიზაციის დროს პოეზიაში სუბიექტურ ფაქტორებზე მიდის. ჩვენ კი, როდესაც ფორტიფიკაცია გვიპირდება, მესხვე მოვიშველებთ სკანდალიზაციას. საზოგადოთ პრინციპების ლოკალიზაცია და ყოველგვარი ამორტიზაცია ისინიზაციის როლს თამაშობს ორგანიზაციაში და გამოწვეულია პოლიტიზაციის პრინციპებით, აქ ჩნდება განრიადი რეალობა, რომლის სალიკვიდაციოთ ქანქარიზაციის კამბანია ჩასატარებელი. აქ გრარიალითი მოდის ულტრა-ესთეტიური ინტერვალი და სტანდარტიზაცია. ამ შემთხვევაში, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია აგრეთვე ყველაფრის უტილიზაცია და სეზონიზაცია.

ჩვენ ვაბობთ: ხელოსანი, ფეხოსანი, მგოსანი, რქოსანი, კალმოსანი, ვიროსანი, ჩოხოსანი.

ეხლა ვებები სიყვარულის საკითხს.

გამსახურდია.—(თავისთვის) მოდი, აქედან ლურჯო ერთი, მეც არავინ შემეხოს და ეს ჩოხა არ შემომხიონ. (შეუმჩნევლათ გადის).

მომხსენებელი.—(ქოჩორს ისწორებს) დულცინეიას პრობლემა.. დიად, მეც ძალიან მაწუხებს ჩემი დულცინეიას საკითხი (წელში გასწორდება). ვინ იტყვის, რომ ლამაზი ქალი-შვილების თვალემა პოეტებისათვის ყოველთვის წამოქცევილი ძალა არ იყოს!..

მომხსენებელი.—(განავრძობს). თუ ტაშს დამიკრავთ, ეხლა ქე გავთავებ. (ზოგიერთი უკრავს ტაშს).

მეორე მომხსენებელი.—ახლა ჩემი ლაპარაკის დრომ მოაწია. რასაც ახლა ვიტყვი, იმას პატარა ხანს მერე კიდო დაუბრუნდება და ხუთჯერ კი გავიმეორებ. ახლა გვედგვიდეთ სიბიქტივიზაზე. კონსტრუქტივიზმი და რომანტიზმი. საზოგადოთ, მე არავითარი იზმი არ მომწონს. იი, მავალითად, შენშეიზმი, ფეფრი არაა, არც რეალისმი.

ჩვენ გვიყვარს როშვა. ვროშავთ და ვროშავთ ყოლიფრის. გენიალური თქმად ჯანგოს

თქმა: ჩვენი თავებიდან გამოჰქონდათ ხე-ტყის მასალა.

მართლაც, ეილეთ თქვენ ახლა თავი, მაგრამ რა თავი? თავში ჩვენ არაფერი არ გვაქვს გამოდის, რომ არაფრიდან გამოჰქონდათ ხე-ტყის მასალა. ესაა ზე-რეალიზმი. ეს ესთქვით ჩვენ შირაშან, შარა არაკაცმა არ დაგვიჯერა. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით. ჩვენ რატუბარცხა დაგვიწერია. ლექსები სულ შენახულს გვაქ სახლში. იმ ლექსებზე ეხლა იზრდება მთელი ახალი თაობა. თუ ვინმეს რამე დაუწერია, ყველამ ჩვენ წავებობა (ორატორი ლელავს). ამას ვაბობ მე! გინდ ლევიჯერეთ, გინდ არა! (უფრო ლელავს) მე შემიძლია ეხლავე წავიკითხო ლექსი!

ზეზო უღნა.—(მეგობარს) შენ დაწყენარდი და ეხლა მე ვილაპარაკებ..

ლექსი, ნივთი, მატერიალ, დოვლათია! თქვენ რა იტყვთ? ჩვენ ყველაფერი ვიცით! გრარია.. ბრარ.. ბრარია..

ვაიგეთ, რომ დღეს მე ვანათებ ამ დარბაზში?

(იწყება ლექსების კითხვა. მორწმუნენი პირჯვარ იწერენ და ჩემთ ვაღიან დარბაზიდან. საღამო როდის დასრულდა, არავის ახსოვს).

Diton.

მესტვირული

(ქიათურისათვის)

შმათა ვარაზაშვილებსა აქვს „ვირის კენჭის“ მალარია მუშებისთვის კი შრომის ფასს რად აგვიანებს საღაროში. ამ ეპოთ, საქმე იმათი, აბურდულ-დაბურდულია, უფულოთ მომუშავე ხალხს ყველას გაურყვდა ფულია!!! ხაზენები ამბობენ: „მუშა რფლი დაღვაროსო, თუ ფულმა დაიგვიანოს, მუშა შეძერეს მალაროსო. მუშაც შედის ჯურღმულეში შრომობს, სიკვდილს ეპიდება, აბა, რა ქნას თუ სამ თვეში, იგი ფულს ვერ ვღირსება?!

ვარაზაშვილი გვიპირდება: „ვისაც ფული გერგებაო, შუა კვირეში ჩამოდით, მაშინ დაგირიგდებო. მუშებს თან მოსდევთ მეპურეც, ხელში უჭირავს დაეთარი, ზღალტერს ეკითხებიან: „ჩვენი ფულები მზათ არი? ხაზენი ატყუილებსთ: „დღეს ფული არ მოვიდიაო, ამიტომაც ჩვენი საქმე ქანდრაკულათ წავიდაო!“ ავანსები ვისაც გინდათ, კი გიშოვებით ადვოლათო, სამსამ მანეთს დაგირიგებთ „ხარჩის“ ფულათ, საღილათო.

სამწუხაროთ დღეს მივიღეთ ტფილისიდან დევეშაო ბანკი ფულებს არ გვაგზავნი, ვართ „სიკვცვილ-ნამუს ქვეშაო“ ხვედრი ფულის დარეგების კიდევ უნდა უფუროთო! ჩვენ უფულოთ ვერ ვმუშავებთ ვერც ვიცხოვრებთ უშუროთო. რაც ფული არ მიგვლია, რამდენი ხანი გვიბრძობა? თუ კიდევ დაავიანეთ ჩვენ-ჩვენი დაგვეპარება!.. —,რამდენიც გინდათ, ილაყებო, მე არ ვათხოვებთ ყურსაო გახსოვსთ, თავრწში ექსთვეზე რომ ვარეგებდი ფულსაო?!. ისევ ის ბიჭი ვახლავარ, ვარაზაშვილი—გვართო, მსგავსი ვერ ნახოთ, ეძებოთ ამ ქვეყნათ მითათ და ბარათო!..

მალაროს მუშა ალ. ქოკაძე.

რეპულება რაჭა-ლეჩხუმი

ყოველი ტომი წინ მიდის, სტოებს ძველ სნეულებასა, რაქა ლეჩხუმი არ იშლის ძველბურ ჩვეულებასა. მიცვალბულზედ იციან მოთქმა ტირილი გრძელია, რასა სძენს იმათ გნების მეტს, ეს ჩვეულება, ძველია?!. ქირისუფალი შეუთვლის მოკითხს: „მოდო შენო“!. მოწვეულს მოჰყავს სხვა ხალხი: „წამყვი, დამამშვენიო“!. წამყოლი უარს არ ეტყვის: „სიამით წაოკყვებო, განსვენებულის სახელს და საქმეს თუ მომიყვებო“!. ისიც აუხსნის: სახელად ეს ერქვა, იყო მშვიდიო, კეთილი, სინდისიერი, საქმეშიც ერთზე შეიდიო“!. ის სახელს ვაიხებარებს; ეს არც იმდენათ ძნელია, მივლენ და ეზოს ჩაღიან სადაც ის სიტირელა. მორიგეობით შედიან ტირილითა და მოთქმითა, შებლში ხელს იტაკუნებენ ყვირილითა და მოთქმითა. როდესაც ცხედარს დაკრძალავენ, დაითრგებიან ლეხითა, სტოლიდან ვერა დგებიან, როგორც რომ კარგი ლხენითა ასე წლის განშავლიაში სპობს ხალხი თავის ქონებას მას შგონია, რომ მითი სძენს მიცვალბულებს ცხონებას. ეს ძველი ჩვეულებანი, დახვეწილი წესია, ვუსურვოთ, მალე მოისპოს, აფხვრას მისი ფსევია!..

აფრასიონ კერესელიძე.

აზგაპი გვძღვის ისევ დაბრუნებინა

(გაღვიძების ნათქვამი)

ახალ ცხოვრებას მივსდევ
მგეთ რაც ვიყავე მე ბრმა,
დაეგმე არ მინდა ქრისტე
მუდღა, კრიშნა, არც ბრამა*).

რას ვამბობთებს ხატი?
და მუღამ მის წინ ლოცვა
ჩემივე დანახატი
არის და იყო როცა?

რად მინდა მღვდელი, პერი
ტყავს რო გვამობდნენ გლეხებს,
რაც კი გვაქვს, ყველაფერი
რო მიიქვთ სულით ვლახებენ?!

რად მინდა მე საყდარი?
ვილოცო მუღამ შიგა?
ვითომ მ ცხონა მკვლარი,
ბაბუა ჩემი გვაქ?!.

მე ზებღური შევცდი
შარშან-წინ ყარობაზე
გულში ვსთქვი, მოდი, შეც ვცდი,
სიტყვა ვსთქვა აქ მღვდლობაზე.

კვირა დღე, იყო, უქმი,
საყდარს მოტეხეს ჯვარი,
ვიღეკით ხალხში უპაოთ,
ხელს გვიგუღავდა ჯავარი.

დალუქეს კარი მაგრად,
გუმბათს ამართეს დროშა,
იმედი ღვდლის გვაქვს, მაგრამ
იცით, რა წამორიშა?

დაიწყა თრთოლვით, შიშით,
ცრმლით დაიხრჩო ლამის...
(კანერი იყო ჯიშით,
ფაფარი ჰქონდა ლომის).

კაცი, ოდესღაც გმირი,
დღეს კურდღლივით თრთოდა,
ამის მნახველი ერი
მოთხარით, რის იტყვია?

— „თქვენ! ხაყვარელო მრეგლო,
(ცრმლს დაეღვინა სიტყვა):
თქვით, სანამ ფრდა მველო,
სიმართლე რო არ ემთქვა!“

შუბლზე მიიღო ხელი
კანაგრძო ხმის კანკალით,
კვიანე ამის მოშსწრეს,
და კი მღვდლებს ბრალის..)

„ხალხნო, თქვენ იცით, ალბათ,
გაგიგონიით ვისმე?..“

კოტა შეყურდა, დალია,
შევძახეთ ხალხმა: „ვისმენთ!“

„ხალხნო ჩვენ დღემდის ყველა
გობუღობდით ერებს,
არ მოაქვთ თქვენთვის შევლა
ხუტებს, მონაზნებს, ბერებს.

არ არის ღმერთი ცაში
და არც ჩვენა გვწამს იგი,
ღმერთია მარჯვნის ცლაში
ხუნების წესარი-რიგი.

სამითხვს იქ რა უნდა?
ხელთა გვაქს იგი აქვე
და ჯოჯოხეთით უნდა
არის ბოროტი საქმე!..“

გერ მოვითმინე ეს მე
გადღეში რისხვით ხალხში,
რომ არა, ჩემი ესმა,
მგონი, ვაგზულური შვამი.

ამხანაგებო! სმენა!
აქ დაიქუქა სერგო
აამუშავა ენა,
როცა მას სიტყვა გრგო.

კარგი და ერთი ბრძანოს
ჩვენმა ხუტებსმა, ნიკომ,
იღებდა სანახინოს,
ჩვენიც მაგები იყო.

თუ ეს იცოდა, რომა
არ იყო ღმერთი არ-საღ,
რით იყო ჩვენზე წყრომად
რით იყო ჩვენში ზარსად?

პასუხი ვამცეს ნიკომ
მა! სად წვიღა იგი?
ჩვენი წვალედა იყო
მისი წესი და რიგი?!

ა! აწ მიგხვდი რომა
ჩვენ რო ვიწყებდით ჭამანს,
ჩვენთვის ეწერა შრომა,
მაგათთვის მარტო ჭამა?

მაშ, ეხლა წუროს იტყვით
გამოიღებკეთ ყური,
კმარა, რაც ტყბილი სიტყვი
ჭამი მან დღემდის პურის!..

გაგვიდა კარგა ხანი,
გაგვიბარაქდა ხელი,
მღვდელთაგან მონაზნან
წამოვიმართეთ წელი.

„ა, საწყალ კაცის, მგონი
მოგესწირ შეგბის დილის!“

უთხარი გასავონი
სიტყვა შე ავთანდილს

აქ, დახეთ, ჩემს სიფითრეს,
თუ რა უქნია სოფელს,
კაცი, ვით მოვიფიქრებ,
რომ მღვდელს მოგვეგრიდნ ყოფილმ!

ვადმოშვა ყოველივე:
„საყდარს აღებენ ისევ
მღვდელი მოგვივა, ხვალვე
მშვილობით სიხალისეგ..“

დამკრა თავში და თეხსა
გადამიბრძნა ელდამ
ხურგს რად იღვამენ კენსა
ვიცოდე ავი ნეტაქქ!

ნუ თუ არ ახსოვს ამ ხალხს
მითი ჯიბითი ჩვენზე:
„როდის მოიტან ახალს?
ძველიც კი არის შენზე“!..

ხელის მოწერა მითხრეს
(შთავრობის ნება არის)
ვითომ ახარეს რომ ღოგს
მოგვივა ჩვენ მოშვიდარი.

დავხვდეთ სიას მუნჯად
და ჩამოვმარცვლეთ გვარი
აქ სასიცოცხლო მურჯი
ერთი კი აღარ არი.

დელასა და მამაჩემს
კულს, მოხუცს და თეთრ წვერას,
აგადმყოფ მამიდაჩემს
აქ ხელი მოვწერათ.

საწყლვები, გულს საცილით
გავიმეორე შედი შედ,
ხომ სამუდამო ძილით
მოისვენებენ ხვალ—ხუგ?

აბა მოთხარით ბოლოს
მღვდელი დაგვირდეს ვის რაბს,
მწამს არ იქნება ხვალვე
ფინც მასზე ეს ივისრა.

შემდეგ სისხლის მსმელს, უნდა
რალდ დავტოვებ სოფლად,
წავიდეს, სადაც უნდა,
იაროს მარტო, ობლად.

მე დღემდის შხამში მდგარი
ძლივს და ვისწავლეთ კვება
დღეს დაუბერა კარმა,
შევიჩინე რაც გვატყავა?

არა და არა, არა,
როგორ, მაშ, კიდევ გავცდეთ
არა, ძმავე, ისიც კმარა
რაც ჩვენი სისხლი ზერბებს!

*) ღმერთებია.

დეკემბერი

ქ. გორი.—დასდამენ პიესას. „უბრალო ხე-
ლები“; დრამა მომდინარეობს ათ სურათად. მო-
ღეულები წარმოადგენს შემდეგ გაიყოლება.

დ. ხაშური.—დასახურებულ მსახიობმა, ვა-
ნო კინკერიხაძემ, სალცხოვოდ შესრულა „ამე-
სალომ და ეთერა“-ში მურმანის როლი თა-
ვის როლს გარდა, ქიძხადა აგრეთვე ანესა-
ლომის სიტყვებს. ეს ამტკიცებს კინკერიხაძის
უზომო ნიჭს. კინკერიხაძე არის ამ ეპოქაში 80
წლისა. მას ჯერ კიდევ დიდი მომავალი აქვს
წინ და მალე იგი მოიხიკებს უდიდეს სახელს
მთელ მსოფლიოში. უნდა მოვახსენოთ, რომ
მან „მურმანი“-ს ხმის კილო შესცვლა „ჩემ-
საირა“-ს ხმაზე, რითაც უფრო დამშვენდა
სცენა.

ქ. ლანჩხუთი. ნიკო რაზბონიკაშვილს აზ-
რად აქვს გამოსცეს თავისი თხზულებანი, რო-
მელიც სხვა დასწერა.

ქ. ბათუმი.—სოფრომ სოფრომაძემ მაშინაში
ენა მოიყოლა. ექიმებმა ზედ კიტრის ნაფცქვე-
ნები დაიყარეს, და ცოტაოდენ გარცხცაქ წას-
ცხეს. იმედია რომ ამას იქით იგი უფრო
ხეგრს იყებდნენ.

ბ. დიდილი.—მენახშირე გოლას მარსზედ
აღმოუჩინა რაღაც შავი ნიშნები. მას დაუ-
შტკიცებია, რომ ეს ნიშნები ნახშირი უნდა
იყოს. ამ ეპოქაში კიდევ ეძებს სხვა ნიშნებს.
იქნებ ვირი და ტომარებიც აღმოაჩინოს).

ხ. შაჩხაანი.—მთელ ქართლ-კახეთში საუკეთესო
„ჩემპიონმა“, გაგრილა გაგნიძემ, თავის სი-
ცოცხლეში პირველად წააქცია ყბაყურაიანთ
განო. მალარიჩებს დღესაც ხარჯავს.

ბ. კოჯორი.—საბავშვო სახლში გაფიცვა მოა-
ჩინა 100 ბავშვმა. მოითხოვეს თავიანთი
შეღამების, ძმების და ბიძების ჩამოყვანას.

წარუწნა.

სტუმარი

—ოო... ჩემო დათხოვო გლახუნნი! სწორედ
შენთან ვაპირობდი მოსვლას— გამარჯვების
წინ მომხალა ერთმა ჩვენმა სოფელმა, ძველ-
მა, სამწყურსოში ვაცნობილმა ამხანაგმა და
ცხლა კი დიდი ხნის უნახავმა, პახუმა.

—ძალიან კარგი, ჩემი პახუმი, ცოტა არეუ-
ლად დამირჩა პახუხის მიცემა.
რაჲ, ბიჭო, გეწყინა თუ—შემიტყო რა-
ღაც.

—რაჲ მეწყინა, კაცო—ნაძალათევი სიცი-
ლით ვუპასუხე მე.

—აბა ეს ხურჯინი წამომალბინე, ერთი
შენს ოთახში მივიდე და შემდეგ ვილაპარა-
კოთ—მითხრა მან და სამ ფუთიანი ხურჯინი
ამკიდა ზურგზე.

—ვირს რომ ზურგი აქავდებდა, საბაჲოს
პირებს მოადგებო, ნათქვამია. მეც სწორედ
ესე მომივიდა,—ვეუქრობდი გულში.—შე თხე-

რო, ჩემო თაო, რა მოგარბენებდა ამ სად-
გურში? ვერ წადი სადმე?—

საშველი აღარ იყო, წამოვიყვანე ოთახში და
მისი ბარგიც მოვათრიე.

—სწორედ კარგად მოწყობილხარ—შექების
ხმით მითხრა პახუმამ, როცა ჩემს ოთახში სი-
მწირით აღაგებულ ლოგინზე გაიშლართა—მო-
გეწყვე, მაგრამ რა!—მოკლედ ვუპასუხე მე.

—რაღა ბევრი გაგარბელო, ჩემმა სტუმარი
მოკალათდა ჩემს ოთახში, არც „ტილოდელიზა“
შეუკოთახავს და არც აგენტ აბრამოვისთვის
ჩაუფუჭუნებია ყურში. გავიდა ერთი ორი, სამი,
ოთხი და ასე რამდენი დღეები, ჩემი სტუმარი
ჩემს ოთახიდან ფეხს არ იცვლიდა. თუ სა-
ლილს სახლში არ მივტანდი, სამსახურში მე-
წყვილდა და, აბა, სად უნდა წავსულიყავი?
ხურჯინი, რომელიც გატყენილი იყო, უცებ
გაიცალა, აღებული ფულები სადღაც გაიგ-
ზავენა და მე კი არაფერი ვიცოდი.

ერთ დღეს პახუმი ჩემთან არ მოსულა საშ-
სახურში და მართალი უნდა გითხროთ, თავი-
სუფლად ამოვისუნთქე. საღამოს ოთახშიაც
აღარ დამხვდა და ცხლა პირდაპირ ცას და-
გეწიე სიხარულით. ცოტა ხანს წიგნები ვიკი-
თხე და შემდეგ თავისუფლად წამოვიწვიე უკვე
გაწვირანებულ ლოგინზე. კარები მაგრად ჩა-
მოვიკეტე და გადავწყვიტე, რაც უნდა ექნა,
კარები არ გამელო.

ძილმა მომიტაცა. სიზმრები ისე დამხვიენ
თავს, როგორც უმეუფერები შრომის ბირჯას.
აი, სადა ვარ; აი, სად მივდივარ!.. ვის ველა-
პარაკები!.. ავერ ჩაუბი მომივიდა კაცთან. მან
უნდა შემომკრას, იწივს ჩემკენ. მაგრამ არ უშ-
ვეზენ.—ფეხი არ ვადმოვდა, თორემ გესვრი
ვიძახე მე. ის იწივებს. მე გამოვიქცეო, ოთახში
შემოვასწარი, ის კარებთან მოვარდა, ეწივს
მაგრამ ვერ აღებს. მე რეგოლვერს ვიღებ, მშ-
მუქრები. ის უფრო ძლიერ აწივდა კარებს, ლა-
მის კარები შემოანგრიოს; უკანასკნელი ძალას
ვიკრებ...—კარი გააღე!—მესმის ბრძანება. მე
უარს ვეუბნები. მოშორდით კარებს, თორემ
გესვრით! უკვე ორი სამი მოემბატა, დაიწყო
კარებმა წკრიალო, კიდევაც მოგჯა და იატაკზე
მოადინა ბრძანები. წამოვარდი. ოი, საშინე-
ლებზე! ეს სიზმარი კი არა, ცხადი ყოფილა.
ჩემს ოთახში სამი შეიარაღებული პირებია.

—ყმაწვილო, რად არ აღებდით კარებსო?!
—არ გამოვიას რა გნებავთ? ვინ ხართ?

ხმის კანკალოთ შევეკითხე მე და ფერმა გა-
დამკრა. ჩვენ საგანგებო რაზმდგან ვართ.
უნდა გავგზრიკოთ, თქვენ აქ კონდრატანდა
გქონიათ!..

მე?! სიამოვნებით და თან ვაკვირებო-
თაც შევეკითხე, ვინაიდან ცხლა თავისამშვი-
ლობის მეგულემოდა.—დიხ, თქვენ!—სიპასუხა
ერთმა იმათგანმა და ოთახს მიაგულ მოავლო
თვალი.

—ჩემს ბინაზე თუ თქვენ რაიმე ნახას ამოა-
ჩენთ კანდრატანდისას, მე დასახურებლად მო-
ვაწერ ხელს გაბელულად მიუგე მე და ვინაშენ
გაიქნრიკათ ყველაფერი.

—ეს რა არის?—შევეკითხა ერთი იმათ-
განი და ლოგინის ქვემიღან ორი თოფი შე-
ვიოტი გამოადქრინა—გაიშე! ვაკვირებოთ შე-
ვიძახე მე, ეს რაღაა?—დაიძახა მეორემ და
ზავიდის ქვემიღან რამდენიმე დუქანი ჩულ-
ქები ამოაწყო.—ეს კიდევ?—დაიძახა მესამემ
და ლორიგანები ამოალაგა. მე კინაღამ გადა-
ვირიე. ჯერ ოთახს ავხედ-დავხედე, სხვის
ოთახში ხომ არ ვარ მეთქი და როცა დაკრ-
წმუნდი რომ ასეთი არ იყო, უსიტყვოთ ლო-
გინზე ჩამოვჯექი.

—ცხლა რას გვეტყვი?—ნიშნის მოგები
სკითხა ერთმა იმათგანმა.

—რაღა უნდა გითხრათ? რომც გითხრათ,
მანაც, არ დამიჯერებთ და, რაც გინდათ ის
მიყავით! უთხარი მე მივხვდი, რომ ყველაფერი
ეს ჩემი სტუმრის ნასიკეთევი იყო.

—იმ დამეს საგანგებო რაზმში მომასვენეს,
მეორე დღეს დამიხსნა ჩემმა დაწესებულებამ
და წამომიყვანა, მაგრამ საქმე მაინც სასამართ-
ლოშია, სასამართლო რას მიზის, ვინ იცის?!
დიდად ნაინც არ ვწუხვარ, ვინაიდან ჩემი
სტუმარი ნაინც ხომ მოვიშორე. იმის შემდეგ
ისე მეზარება სადგურში მისვლა როგორც სა-
ბინაო განყოფილებაში,—ასე დათავა თავისი
ამბავი ჩემმა მეგობარმა, დათამ, და მთოვა
ჩემმაკის მახშირე მომეთავსებია. მეც შევიპირ-
დი და აი, კიდევაც ვუსრულებ შეპირებას.

პ. ოზოილი.

„კოშუნისტი“
ვიილუზა ხელისმოყურა
დეკემბრისათვის